

ს.ს. „საზღვაო ჰოსპიტალის“ ეთიკის კომისიის წესდება



2014 წელი

ქ. ბათუმი

1. ზოგადი დებულებები:

სს „საზღვაო ჰოსპიტალის“ ეთიკის კომისია, შემდგომში “ეთიკის კომისია“, წარმოადგენს დამოუკიდებელ არა იურიდიულ პირს–საზოგადოებას, რომლის შემადგენლობაში შედის კლინიკის თანამშრომლები და სხვა მოწვეული პირები.

- 1.1. ეთიკის კომისია უზრუნველყოფს პაციენტის უფლებების, მათი ღირსებებისა და პიროვნული ავტონომიის დაცვის ხელშეწყობას; სამედიცინო დაწესებულებების პერსონალის განათლების, სამედიცინო მომსახურების პროცესში წამოჭრილი პრობლემების, ეთიკური ასპექტების წარმოჩენასა და შესაბამისი ანალიზის შემდეგ რეკომენდაციების შემუშავება/მიწოდებას დაწესებულების მენეჯმენტისა და პერსონალისთვის.
- 1.2. ეთიკის კომისია მისი წევრების ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, მისი საქმიანობის მიზანს არ წარმოადგენს რაიმე მოგების მიღება.
- 1.3. ეთიკის კომისიას არ გააჩნია პირდაპირი დაინტერესება კონკრეტული შემთხვევის მიმართ. პაციენტის, ჰოსპიტალისგან, დამოუკიდებლად ახდენს შემთხვევების განხილვას და რეკომენდაციების გაწევას.
- 1.4. ეთიკის კომისია თავის ქმედებებს ახორციელებს ყველა თავისი წევრების თანასწორუფლებიანობის და ჰუმანიზმის პრინციპების საფუძველზე. საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის: საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, საქართველოს კანონის საექიმო საქმიანობის შესახებ, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსის, სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად.

2. ეთიკის კომისიის მიზნები და ამოცანები:

- 2.1. დაიცვას პაციენტის, ექიმისა და ჰოსპიტალის ინტერესები და უფლებები
- 2.2. აწარმოოს კონკრეტული შემოსული განაცხადის ან საჩივრის მიუკერძოებელი ეთიკური შეფასება;
- 2.3. აღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის ეთიკური კომისია:
 - დამოუკიდებლად და ობიექტურად აფასებს წამოჭრილ ეთიკურ პრობლემას.
 - აფასებს ყოველი შემთხვევის შესაბამისობას საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკურ ნორმებთან.
 - აფასებს ყოველი საჩივრის მიზანშეწონილობას.
 - ანხორციელებს ზედამხედველობას, რათა განხილვის პროცესი წარიმართოს მიუკერძოებლად, დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.
 - უზრუნველყოს ასევე მიღებული გადაწყვეტილების სისრულესა და სანდოობას.

3. ეთიკის კომისიის უფლებები:

3.1. ეთიკის კომისია უფლებამოსილია განაცხადისა და საჩივრის განხილვა აწარმოოს მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა და სხდომაზე გამოიტანოს მიუკერძოებელი დასკვნა.

4. ეთიკის კომისიის წევრები, მათი უფლებამოსილებები:

- 4.1. ეთიკის კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მინიმუმ 5 წევრით, კომისიის წევრებს და კომისიის თავჯდომარესა და კომისიის მდივანს ირჩევს სამედიცინო დირექტორი ერთი წლის ვადით.
- 4.2. ეთიკის კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა.
- 4.3. იმ შემთხვევაში თუ ეთიკის კომისიის ერთ-ერთ მონაწილეს ეხება საჩივარი ან განაცხადი ამ შემთხვევაში აღნიშნული პიროვნება არ იღებს მონაწილეობას განხილვაში და გადაწყვეტილება მიიღება მის გარეშე.
- 4.4. ეთიკის კომისია შეიძლება ნებაყოფლობით დატოვოს კომისიის წევრმა პირადი განაცხადის საფუძველზე.
- 4.5. ეთიკის კომისიიდან პირის გარიცხვა ხდება ამ პირის არაჯეროვანი ან არაეთიკური ქმედების გამო.

5. ეთიკის კომისიის საქმიანობა:

- 5.1. თავისი საქმიანობის წარმართვისას ეთიკის კომისია ატარებს სხდომას საჭიროების შემთხვევაში. სხდომა შეუდგება თავის მუშაობას თუ მას ესწრება წევრთა 2/3 და მეტი.
- 5.2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს განაცხადის შემომტანს სხდომის ჩატარებიდან 5 დღის განმავლობაში.
- 5.3. ეთიკის კომისიის ყველა დოკუმენტი ფორმდება წერილობითი სახით, ყველა საბუთი დამოწმებულია ეთიკის კომისიის ყველა წევრის ხელწერით და ჰოსპიტალის ბეჭდით.
- 5.4. საჩივრის ან განაცხადის ფორმა დადგენილია ჰოსპიტალის ადმინისტრაციის მიერ.

6. ეთიკის კომისიის სხდომების ორგანიზების პროცედურა:

- 6.1. ეთიკის კომისია სხდომებს მართავს იმ სიხშირით, რაც აუცილებელია მისი ფუნქციების შესრულებისათვის.
- 6.2. ჰოსპიტალის სამედიცინო დირექტორი ეხმარება კომისიის თავჯდომარეს სხდომების ორგანიზებაში, რაც გულისხმობს ჰოსპიტალში შემოსული განაცხადის ან საჩივრის გადაცემას ეთიკური კომისიისთვის და თარიღების განსაზღვრას. ეთიკის კომისიის საორგანიზაციო საკითხზე პასუხისმგებელია ეთიკის კომისიის მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დოკუმენტის წარმოებას, ეთიკის კომისიის წევრების ინფორმირებასა და საორგანიზაციო საკითხებს.

6.3. ეთიკის კომისიის სხდომა, რომელიც განიხილავს კერძო შემთხვევებს და რეკომენდაციას აძლევს სამედიცინო პერსონალს და/ან პაციენტს. იმართება შემდეგი წესის დაცვით:

6.3.1. ეთიკის კომისიას წერილობითი განაცხადის ან საჩივრის ფორმით მიმართავს.

ა) ჰოსპიტალის ადმინისტრაცია

ბ) სამედიცინო პერსონალი

გ) პაციენტი

6.3.2. წერილობითი განაცხადი ან საჩივარი შემოდის ჰოსპიტალის ადმინისტრაციაში, კერძოდ, ადმინისტრაციის ასისტენტთან, რომელიც ვალდებულია საჩივრის ან განაცხადის გადარჩევის შემდგომ არაუმეტეს ორ სამუშაო დღეში გადასცეს ეთიკის კომისიას განაცხადი ან საჩივარი.

6.3.3. ეთიკის კომისიას შეუძლია უარი თქვას საკითხის განხილვაზე, რაც სათანადოდ უნდა იქნას დასაბუთებული.

6.3.4. საკითხის განხილვისას სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნას შემთხვევის მონაწილე პირი.

6.3.5. კომისიის მდივანი აფორმებს დასკვნას სხდომის შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას.

ა) კომისიის სხდომის თარიღი.

ბ) ვინ იღებდა კომისიის სხდომაში მონაწილეობას.

გ) სხდომის ჩატარების მიზეზი და რეკომენდაციის ხასიათი.

დ) რა სახის ინფორმაცია მიეწოდა სხდომაში მონაწილე ეთიკის კომისიის წევრებს.

ე) ეთიკის კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია.

7. ეთიკის კომისიის სახსრები:

7.1. ეთიკის კომისიის საქმიანობის მიზანს არ წარმოადგენს რაიმე მოგება. მათი საქმიანობა დაფუძნებულია ნებაყოფლობით საქმიანობაზე.

8. ეთიკის კომისიის საქმიანობის შეწყვეტა

8.1. ეთიკის კომისიის საქმიანობა წყდება ეთიკის კომისიის სხდომის დადგენილებით.

ეთიკის კომისიის წევრები

კომისიის თავმჯდომარე: ნათია ხარატი

წევრები:

- ნინო ქარცივაძე
- თეიმურაზ გოგიტიძე
- ხატია ჭყონია
- თამარ ლომთაძე
- ლიანა თოთლაძე
- ცირა ვერძაძე